ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო,

ქართული კომპანიების და ორგანიზაციებისთვის უკვე კარგად ნაცნობი პროგრამა "Bayern - Fit for Partnership" შესაძლებლობას გაძლევთ, შემოიტანოთ განაცხადი დელეგაციის ფარგლებში ბავარიაში ვიზიტის თაობაზე. აღნიშნული ვიზიტის მიზანს წარმოადგენს ბაზრის პრაქტიკული შესწავლა. წლევანდელი პროექტის თემაა, **„ენერგოეფექტური მშენებლობა და სამშენებლო მასალები“**, შესაბამისად, მიზან-ჯგუფს წარმოადგენს სამშენებლო სექტორში მოღვაწე კომპანიები.

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV), როგორც პროექტის ადგილობრივი პარტნიორი, კვლავ გიწვევთ მონაწილეობის მისაღებად აღნიშნულ პროგრამაში, რომელიც დაგეგმილია **10-დან 15 ივლისამდე,** ბავარიაში (გერმანია).

პროექტი ხორციელდება გერმანიის ავტონომიური ოქლის, ბავარიის ეკონომიკის, მედიის, ენერგეტიკის და ტექნოლოგიის სამინისტროსთან თანამშრომლობით.

დელეგაციის ვიზიტის ხარჯების ძირითად ნაწილს აფინანსებს ბავარიის სამინისტრო. ხოლო პროექტში მონაწილე კომპანიების ვალდებულებას წარმოადგენს მგზავრობის (ორმხრივი ავია-ბილეთი) და პროექტში მონაწილეობის საფასურის დაფარვა, რაც დღიურად შეადეგნს 20 ევროს (სულ 100 ევრო).

ღონისძიების პირველად პროგრამას და სარეგისტრაციო ფორმას გიგზავნით თანდართული ფაილების სახით. სარეგისტრაციო ფორმა მოიცავს კითხვარს, რომლის შევსებაც სავალდებულოა მონაწილეობის მსურველთათვის.

გთხოვთ, გამოაგზავნოთ შევსებული სარეგისტრაციო ფორმა **არა უგვიანეს 2017 წლის 16 ივნისისა**, შემდეგ ელ.ფოსტაზე: maria.bregadze@georgien.ahk.de.

რეგისტრაციის დასრულებიდან ერთ კვირაში მოხდება შერჩეულ კომპანიებთან/ორგანიზაციებთან დაკავშირება.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში, მოგვმართეთ.

პატივისცემით,
მარია ბრეგაძე

Maria Bregadze
Project Manager

Deutsche Wirtschaftsvereinigung (DWV)
German Business Association

24 Rustaveli Avenue, 0108 Tbilisi
Tel.: +995 32 2205767
Mob.: +995 595 092952
E-mail: maria.bregadze@georgien.ahk.de
www.georgien.ahk.de